ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 642

"28" დეკემბერი 2023 წ.

ქ. თბილისი

შპს „აშფორდ დეველოპმენტი"-ს (ს/ნ. 405384463) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. №104-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. №01.14.11.021.027) - მიმართებით დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და „შპს „აშფორდ დეველოპმენტი"-ს (ს/ნ. 405384463) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. №104-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.021.027) - მიმართებით დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 დეკემბრის №23.2152.2406 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „აშფორდ დეველოპმენტი"-ს (ს/ნ. 405384463) მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება №23.93.98. 25.01.2023) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულება №29, 27.01.2023) ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, მისამართზე - ქ. თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. №104 არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. №01.14.11.021.027) მიმართებით შემდეგი დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენებაზე:

ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება 2.5 - დან 4.0-მდე;

ბ) შპს „აშფორდ დეველოპმენტი"-ს (ს/ნ. 405384463) მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 იანვრის №29 განკარგულებით გათვალისწინებული შესასრულებელი ვალდებულებები ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდის ნაწილში, ჩაითვალოს შესრულებულად, ხოლო ამავე

განკარგულებით (განკარგულება №29, 27.01.2023) გათვალისწინებული სხვა ხელშემწყობი ღონისძიებები დარჩეს ძალაში.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე